

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის
შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის
2009 წლის 30 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების" მე-7 მუხლის მე-3
პუნქტის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების
სამსახურის თანდართული დებულება.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. ტყეშელაშვილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის
დებულება

მიღებულია - 29.12.2009 წ

ძალაშია - 30.12.2009 წ

30.12.2009 წ - მდგომარეობით

მიმღები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2009 წლის 29 დეკემბრის #14/ნ ბრძანების დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

მუხლი # 1 - ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახურის (შემდგომში - სამსახურის) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე.

მუხლი # 2 - სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი აქტებით, სამინისტროსა და სამსახურის დებულებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი # 3 - სამსახურის ამოცანები

სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოთა კოორდინაცია;

ბ) სამობილიზაციო ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;

გ) სამხედრო-სამობილიზაციო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;

დ) სამხედრო სამსახურში გაწვევის გეგმების დაყვანა სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებამდე და მისი რეალიზაციის გრაფიკის დადგენა;

ე) სამხედრო გაწვევისა და მობილიზაციის საკითხებზე კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა.

მუხლი # 4 - სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი სამსახურის ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ახორციელებს სამსახურის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, უზრუნველყოფს სამსახურის ამ დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ამოცანების შესრულებას;

ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ხელს აწერს ან ვიზირებას ახდენს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებზე, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;

ე) ზედამხედველობს სამსახურის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;

ვ) კონტროლს უწევს მინისტრის ბრძანებების, მითითებებისა და ინსტრუქციების შესრულებას სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ზ) მინისტრს და კურატორ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის მუშაობის, მოსამსახურეთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით სამსახურისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს მინისტრს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამსახურის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) პერიოდულად ისმენს სამსახურის მოსამსახურეთა ანგარიშს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ლ) მინისტრს და კურატორ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შუამდგომლობს სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

ნ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სამსახურის ერთ-ერთი მოსამსახურე.

მუხლი # 5 - სამსახურის მოსამსახურე

1. სამსახურის მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. სამსახურის მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. სამსახურის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება სამინისტროს საშტატო ნუსხით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.